კურცხანის სამონასტრო კომპლექსი არქეოლოგიური კვლევა

მაგისტრანტი დათუნა ჩადუნელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქრისტიანული არქეოლოგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი: დათუნა ჩადუნელი

28.06.2022

მადლობა

მადლობა ნაშრომის ხელმძღვანელს გაწეული დახმარებისთვის

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში თავმოყრილია საქართველოს ისტორიულ პროვინცია სამცხეში, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარ ოძრხეს მახლობლად მდებარე, დღემდე ნაკლებად ცნობილი ,,კურცხანას“ სამონასტრო კომპლექსის შესახებ არსებული ისტორიული წყაროების, მისი შემადგენელი ძეგლების ლანდშაფტის, ხუროთმოძღვრული აღნაგობის კვლევისა და მათზე 2019-20 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

ამ თემის აქტუალურობა განსაკუთრებით განაპირობა 2020 წელს განხორციელებულ არქეოლოგიურ სამუშაოებში ავტორის პირადმა მონაწილეობამ, რამაც მას შესაძლებლობა მისცა აქამდე არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელი ,,კურცხანას“ სამონასტრო კომპლექსის შესახებ ახალი ინფორმაციის შემოტანისა სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნაშრომში წარმოდგენილია სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების აღწერა, ფოტო და გრაფიკული მასალა. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარი სიზუსტით განსაზღვრულია სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიებისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების ფუნქციონალური კლასიფიკაცია, მათი აშენების, განვითარებისა და წყობიდან გამოსვლის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

თემის სიახლეს წარმოადგენს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტები, დიდწილად კერამიკული მასალა. ამ ნივთიერ მასალის ანალიზზე დაყრდნობით განხორციელდა ზოგიერთი კონკრეტული სამონასტრო ნაგებობის, საძვალისა თუ საერო პირის სამარხის მნიშვნელობის და თარიღის დადგენა.

ვფიქრობ, რომ ქრისტიანული არქეოლოგიის მკვლევარებისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ამ თემის დამუშავებით შემოტანილი ინფორმაცია კურცხანის სამონასტრო კომპლექსში შუა საუკუნეების სხვადასხვა სტადიაზე მიმდინარე სამონაზვნო ცხოვრების თავისებურებების შესახებ. მათმა შესწავლამ გარკვეული დამატებითი ცნობები მოგვაწოდა ზოგადად ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული რელიგიისა და სამონასტრო ცხოვრების შესახებ. აღნიშნული საკითხი შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამცხის პროვინციის და ოძრხის ხეობის აქამდე უცნობი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გასაანალიზებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: კურცხანის სამონასტრო კომპლექსი, საძვალე, სამარხი, კერამიკა, შენობა-ნაგებობა.

Abstract

Master thesis includes the results of research of historical sources, landscape of its constituent monuments, architectural construction and archeological excavations conducted in 2019-20 about the lesser-known Kurtskhana monastery complex, located in the historical province of Georgia, Samtskhe, near ancient and early medieval site of the ancient city of Odzrkhe.

The urgency of this topic is especially conditioned by the author's personal participation in the archeological works carried out in 2020, that enabled him to introduce new information into science about Khurtskhana monastery complex, which was archeologically unexplored till now.

The paper presents description of buildings with photo and graphic materials on the territory of the monastery complex. Based on the obtained information, the functional classification of the churches and auxiliary buildings on the territory of the monastery complex and their chronological frameworks of construction, development and demolition are determined as accurately as possible.

The novelty of the topic are artefacts, mostly ceramic materials discovered through the archeological excavations and based on the analysis of these materials the significance, antiquity and date of some specific buildings or secular tombs were determined.

On my opinion, the information provided through this topic about the peculiarities of the monasticism in Kurtskhana monastery complex at different stages of the middle ages will be important novelty for the researchers of Christian archeology. The study of these information about Kurtskhana monastery complex provided some additional information about the Christian religion and the monasticism of medieval and developed Georgia in general. The study of this topic is especially important for analyzing the heretofore unknown political and economic processes in Samtskhe province and Odzrkhe Valley. The study of this topic is especially important for analyzing the heretofore unknown political and economic processes in Samtskhe province and Odzrkhe Valley.

Key words: Kurtskhana monastery complex, cript, speos, ceramics, building.